

შპს „შტუკი კავკასია“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	9
2. მომზადების საფუძვლები.....	9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	12
5. ძირითადი საშუალებები.....	16
6. იჯარები	16
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	21
10. ამონაგები.....	21
11. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	22
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	22
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	23
14. პირობითი ვალდებულებები.....	24
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	24
16. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „შტუკი კავკასიის“ ხელმძღვანელობასა და მფლობელს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „შტუკი კავკასიის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

4 თებერვალი 2021

შპს „შტუკი კავკასია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	36,850	61,978
აქტივების გამოყენების უფლება	6	-	94,392
არამატერიალური აქტივები		5,536	7,674
		42,386	164,044
მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო აქტივი		8,429	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	896,308	344,518
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	146,342	567,098
		1,051,079	911,616
სულ აქტივები		1,093,465	1,075,660
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდები კაპიტალი		100,000	100,000
გაუნაწილებელი მოგება		275,110	410,138
სულ კაპიტალი		375,110	510,138
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	6	-	105,592
საგადასახადო ვალდებულება		-	34,648
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	718,355	425,282
		718,355	565,522
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,093,465	1,075,660

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 4 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ბ. ქუიგლი

ფინანსური და
ადმინისტრაციული
დირექტორი

თ. ანდულაძე

ბუღალტერი

ა. მაჭარაძე

9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „შტუკი კავკასია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	10	1,818,272	1,271,477
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	11	(1,317,158)	(932,831)
საერთო მოგება		501,114	338,646
სხვა შემოსავალი		24,393	108,308
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(609,456)	(542,920)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ცვლილება	7	(927)	73,782
საოპერაციო ზარალი		(84,876)	(22,184)
ფინანსური ხარჯი	6	(3,421)	(16,949)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		(46,730)	(5,436)
ზარალი დაბეგრამდე		(135,027)	(44,569)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის სრული ზარალი		(135,027)	(44,569)

9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „შტუკი კავკასია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2018	100,000	454,707	554,707
წლის სრული ზარალი	-	(44,569)	(44,569)
31 დეკემბერი 2019	100,000	410,138	510,138
წლის სრული ზარალი	-	(135,027)	(135,027)
31 დეკემბერი 2020	100,000	275,111	375,111

9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „შტუკი კავკასია“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
ზარალი დაბეგვრამდე		(135,027)	(44,569)
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	12	125,020	191,112
ფინანსური აქტივების გაუფასურების ცვლილება	7	927	(73,782)
წმინდა ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან		46,730	5,436
გრძელვადიანი აქტივების გასვლით მიღებული ზარალი		-	1,495
ფინანსური ხარჯი	6	3,421	16,949
სხვა შემოსავალი		-	(105,872)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე		41,071	(9,231)
ცვლილებები საოპერაციო კაპიტალში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(507,671)	404,443
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		190,735	(214,193)
წინასწარ გადახდილი გადასახადების/საგადასახადო ვალდებულებების (ზრდა)/შემცირება		(43,077)	25,454
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები		(318,942)	206,473
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(3,054)	(5,891)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(308)	(4,804)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(3,362)	(10,695)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:			
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა		(99,532)	(160,279)
საიჯარო ვალდებულებების პროცენტის გადახდა		(3,421)	(16,949)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(102,953)	(177,228)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)		(425,257)	18,550
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	8	567,098	549,192
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		4,501	(644)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	8	146,342	567,098

9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „შტუკი კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს შტუკი კავკასია (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2008 წლის 1 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის მფლობელია შვეიცარული კომპანია შპს შტუკი, რომელიც 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს 100%-იან წილს კომპანიაში. შპს შტუკს თავის მხრივ ფლობს ასევე შვეიცარული კომპანია გრუნერი, რომელიც წარმოადგენს საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს.

კომპანიის მისამართი: აფაქიძის ქუჩა 11, თბილისი, საქართველო.

როგორც ეს წესდებითაა განსაზღვრული, კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის შემდეგი:

- ჰიდრო-ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული საქმიანობა;
- სამშენებლო სამუშაოები;
- პროექტირება და საინჟინრო სამუშაოები.

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 14 და 13 ადამიანს, შესაბამისად.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტაც.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არის არის აღნიშნული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიუხედავად კოვიდ 19-ის გარკვეული უარყოფითი ეფექტებისა, უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის. დამფუძნებელი, საჭიროების შემთხვევაში, მზადაა, კომპანიას გაუწიოს ფინანსური დახმარება საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ლ იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალდებულო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედული, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები - იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს კომპანიის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადად შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ კომპანიის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, კომპანია საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევანის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სპეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში. იქიდან გამომდინარე, რომ 2020 წელს კოვიდ-19-ის გავრცელებამ წარმოშვა გარკვეული განუსაზღვრელობები კომპანიის საოპერაციო და ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებით, წლის ბოლოს კომპანია საიმედოდ ვერ აფასებს იჯარის განახლების შესაძლებლობის გამოყენების ალბათობას და იჯარის ვადად განიხილავს მხოლოდ მომავალ ერთ წელს.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
- სავალუტო რისკი.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდურნი, ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	146,342	567,098
სავაჭრო მოთხოვნები	7	850,971	326,703
საკონტრაქტო აქტივები	7	22,944	-
		1,020,257	893,801
ფინანსური ვალდებულებები		31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	9	676,826	317,104
საიჯარო ვალდებულებები	6	-	105,592
		676,826	422,696

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ რეპორტებს, რომლის მეშვეობითაც ხდება პროცესის ეფექტურობისა და პოლიტიკების შემოწმება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

აქედან გამომდინარე, საკრედიტო რისკი არის ძალიან მნიშვნელოვანი ხელმძღვანელობისთვის. იმისათვის, რომ ფინანსური ზარალის თავიდან არიდება მოხდეს, კომპანია იყენებს სხვადასხვა მეთოდს რომ დააიდენტიფიციროს და მართოს საკრედიტო რისკები ეფექტურად.

შპს „შტუკი კავასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი დაკავშირებულია საპროცენტო ხარჯის წარმომქმნელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საპროცენტო რისკის ცვალებადობიდან გამომდინარე. კომპანიას არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	შვეიცარული ფრანკი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	71,494	-	57,144	17,704	146,342
სავაჭრო მოთხოვნები	7	-	824,936	-	26,035	850,971
საკონტრაქტო აქტივები	7	-	22,944	-	-	22,944
		71,494	847,880	57,144	43,739	1,020,257
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები	9	1,486	-	-	675,340	676,826
საიჯარო ვალდებულებები	6	-	-	-	-	-
		1,486	-	-	675,340	676,826
ღია საბალანსო პოზიცია		70,008	847,880	57,144	(631,601)	

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	აშშ დოლარი	შვეიცარული ფრანკი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	553,027	-	14,071	567,098
სავაჭრო მოთხოვნები	7	-	258,524	68,179	326,703
		553,027	258,524	82,250	893,801
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	9	32,337	-	284,767	317,104
საიჯარო ვალდებულებები	6	5,659	99,933	-	105,592
		37,996	99,933	284,767	422,696
ღია საბალანსო პოზიცია		515,031	158,591	(202,517)	

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა**

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020					
	აშშ დოლარი		შვეიცარული ფრანკი		ევრო	
	ლარი/დოლარი +20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ფრანკი +20%	ლარი/ფრანკი - 20%	ლარი/ევრო +20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება/(ზარალი)	169,576	(169,576)	(126,320)	126,320	11,429	(11,429)

	2019			
	აშშ დოლარი		შვეიცარული ფრანკი	
	ლარი/დოლარი +20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ფრანკი +20%	ლარი/ფრანკი - 20%
მოგება/(ზარალი)	31,718	(31,718)	(40,503)	40,503

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძქნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასაწესებად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს.

ყველა სავაჭრო და საიჯარო ვალდებულება, რომელიც კომპანიამ უნდა გადაიხადოს არის ერთ წლამდე ვადის და შეადგენს 676,826 ლარს და 422,696 ლარს, 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დააკმაყოფილოს ვალდებულებები.

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანი კაპიტალის მხარდაჭერის პროცესში არის შემდეგი:

- უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირება; და
- კომპანიის მფლობელებს მოუტანოს შესაბამისი ამოგება.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

შპს „შტუკი კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	საოფისე ტექნიკა	ტექნიკური და კომპიუტერული მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2018	106,433	221,559	38,821	14,030	380,843
შემოსვლა	1,626	3,303	-	962	5,891
გასვლა	(6,687)	-	-	-	(6,687)
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	101,372	224,862	38,821	14,992	380,047
შემოსვლა	-	2,205	-	849	3,054
გასვლა	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	101,372	227,067	38,821	15,841	383,101
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	(73,025)	(174,944)	(32,349)	(13,008)	(293,326)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(9,720)	(17,541)	(2,157)	(517)	(29,935)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	5,192	-	-	-	5,192
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	(77,553)	(192,485)	(34,506)	(13,525)	(318,069)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(9,107)	(16,219)	(2,157)	(699)	(28,182)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	(86,660)	(208,704)	(36,663)	(14,224)	(346,251)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	23,819	32,377	4,315	1,467	61,978
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	14,712	18,363	2,158	1,617	36,850

6. იჯარები

კომპანია ქირაობს ერთ საოფისე ფართსა და საარქივო ფართს დოკუმენტაციის განთავსების მიზნით რამდენიმე კონტრაგენტისგან. საოფისე ფართის იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში და განსაზღვრულია აშშ დოლარში. იჯარა ფართის არქივისთვის ასევე ფიქსირებულია, თუმცა იგი განსაზღვრულია ლარში.

აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები სრულად არის ამორტიზებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიამ განაახლა ხელშეკრულებები იმავე მეიჯარეებთან, თუმცა 1 წლის ვადით, რადგან გეგმავს სხვა საოფისე ფართის მოძიებასა და კომპანიის ოპერაციების იქ გადატანას. კომპანიამ შეაფასა ახალი იჯარების ვადა ყველა გარემოების გათვალისწინებით და დააკლასიფიცირა ისინი მოკლევადიან იჯარებად. აქედან გამომდინარე, კომპანია ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ საიჯარო გადასახდელებს აღრიცხავს ხარჯებში იჯარის ვადის განმავლობაში.

შპს „შტუკი კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარი)

6. იჯარები (გაგრძელება)

აქტივების გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების რეკონსილიაცია 2020 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქტივების გამოყენების უფლება	საოფისე ფართი
1 იანვარი 2019	241,511
შემოსვლა	9,927
ამორტიზაცია	(157,046)
31 დეკემბერი 2019	94,392
შემოსვლა	-
ამორტიზაცია	(94,392)
31 დეკემბერი 2020	-

საიჯარო ვალდებულებები	საოფისე ფართი
1 იანვარი 2019	241,511
შემოსვლა	9,927
საპროცენტო ხარჯი	16,949
საიჯარო გადასახდელები	(177,228)
სავალუტო კურსის ცვლილება	14,433
31 დეკემბერი 2019	105,592
შემოსვლა	-
საპროცენტო ხარჯი	3,421
საიჯარო გადასახდელი	(102,953)
იჯარასთან დაკავშირებული შეღავათები*	(10,890)
სავალუტო კურსის ცვლილება	4,830
31 დეკემბერი 2020	-

* კოვიდ-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების შედეგად შემცირდა კომპანიის მიერ საოფისე ფართის გამოყენების სიხშირე. ამასთან დაკავშირებით, კომპანიამ მეიჯარისგან მიიღო საიჯარო კონცესია საიჯარო გადასახდელის პატიების სახით (ხელშეკრულებით განსაზღვრული საიჯარო გადასახდელის შემცირება) აპრილისა და მაისის თვეებში. საიჯარო კონცესიის პირობებმა დააკმაყოფილეს ფასს 16-ში შესული ცვლილებების მიხედვით შემოთავაზებული პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენების ყველა კრიტერიუმი. პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის მოთხოვნების გამოყენების შედეგად საიჯარო ვალდებულებები შემცირდა 10,890 ლარით. აღნიშნული ცვლილების ეფექტი კი აისახა მოგება-ზარალში სხვა შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა საიჯარო გადასახდელების შემცირება.

საიჯარო ვალდებულებების ვადიანობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 დან 12 თვემდე	1 დან 2 წლამდე	2 დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
საიჯარო ვალდებულებები	43,561	62,031	-	-	-	105,592

შპს „შტუკი კავასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური აქტივები:		
სავაჭრო მოთხოვნები	459,754	389,056
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	612,144	157,647
საკონტრაქტო აქტივები	22,944	-
გამოკლებული: ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	(220,927)	(220,000)
ფინანსური აქტივები - წმინდა	873,915	326,703
არაფინანსური მოთხოვნები:		
გადახდილი ავანსები	21,453	17,187
სხვა მოთხოვნები	940	628
	896,308	344,518

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისაგან.

კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მოთხოვნებისთვის.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას, რომ დაითვალოს გაუფასურების რეზერვი. იგი განსაზღვრავს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგს. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივები დაჯგუფებულია საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. საკონტრაქტო აქტივებს აქვთ მსგავსი რისკის მახასიათებლები როგორც მათთან დაკავშირებულ სავაჭრო მოთხოვნების კონტრაქტებს.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე. კოვიდ-19-ის პანდემიას არ გამოუწვევია მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგების განაკვეთების ზრდა კომპანიის მომხმარებლებისთვის.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	<30 დღე	31-60 დღე	61-120 დღე	121-180 დღე	181-360 დღე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	10%	50%	70%	100%	
სავაჭრო მოთხოვნები							
მთლიანი ღირებულება	230,531	10,932	-	-	-	218,291	459,754
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	2,305	331	-	-	-	218,291	220,927

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	<30 დღე	31-60 დღე	61-120 დღე	121-180 დღე	181-360 დღე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	10%	50%	70%	100%	
სავაჭრო მოთხოვნები							
მთლიანი ღირებულება	170,765	-	-	-	-	218,291	389,056
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	1,709	-	-	-	-	218,291	220,000

შპს „შტუკი კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2020
	სავაჭრო
	მოთხოვნები
1 იანვარი	220,000
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე	2,150
წინა პერიოდში დარიცხული რეზერვების აღდგენა	(1,223)
საანგარიშგებო წლის მანძილზე ჩამოწერილი უიმედო მოთხოვნები	-
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	927
31 დეკემბერი	220,927

სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2019		
	სავაჭრო	საკონტრაქტო	სულ
	მოთხოვნები	აქტივები	
1 იანვარი	291,009	2,773	293,782
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე	1,019	-	1,019
წინა პერიოდში დარიცხული რეზერვების აღდგენა	(72,028)	(2,773)	(74,801)
საანგარიშგებო წლის მანძილზე ჩამოწერილი უიმედო მოთხოვნები	-	-	-
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	(71,009)	(2,773)	(73,782)
31 დეკემბერი	220,000	-	220,000

საკრედიტო რისკი დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებზე არ შეცვლილა მნიშვნელოვნად მათი საწყისი აღიარებიდან. კომპანიას არ დაურეზერვებია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული მოთხოვნები.

გაუფასურების ანარიცხის ცვლილება მოთხოვნებზე წარდგენილია *ფინანსური აქტივების გაუფასურების ამობრუნება/(ხარჯის)* მუხლში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შპს „შტუკი კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები საკონტრაქტო აქტივებსა და საკონტრაქტო ვალდებულებებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საკონტრაქტო აქტივები	საკონტრაქტო აქტივები	საკონტრაქტო ვალდებულებები	საკონტრაქტო ვალდებულებები
	2020	2019	2020	2019
1 იანვარი	-	274,559	(67,424)	(154,203)
საკონტრაქტო აქტივების (გაუფასურება)/გაუფასურების ამობრუნება	-	2,773	-	-
გადასვლა საკონტრაქტო აქტივებიდან სავაჭრო მოთხოვნებში	-	(277,332)	67,424	48,331
ხარჯების კომპენსაცია	-	-	-	105,872
შესრულებული ვალდებულებებზე აღიარებული შემოსავალი, რომლისთვისაც კომპანიას არ მიუღია ფულადი სახსრები(ან უფლება მათზე)	99,027	-	-	-
გადახურვა	(76,083)	-	76,083	-
შეუსრულებელი ვალდებულებისთვის მიღებული ფულადი სახსრები, რომლებიც არ აღიარდა შემოსავლად პერიოდში	-	-	(79,704)	(67,424)
	22,944	-	(3,621)	(67,424)

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო მოთხოვნების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	71,494	553,027
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	74,848	14,071
	146,342	567,098

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ვალუტის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

შპს „შტუკი კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	676,826	284,767
გადასახდელი ბონუსები	-	32,337
	676,826	317,104
არაფინანსური ვალდებულებები:		
მიღებული ავანსები	37,708	37,708
საკონტრაქტო ვალდებულებები	3,621	67,424
სხვა ვალდებულებები	200	3,046
	718,355	425,282

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებისაგან.

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ვალუტის და ვადიანობის შესახებ იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

10. ამონაგები

ამონაგები კლიენტების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2020	2019
სს "ნენსკრა ჰიდრო"	568,367	393,547
შპს "შტუკი"	407,642	186,227
შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"	264,619	363,003
გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა	213,411	64,557
შპს "დარჩი"	88,475	-
შპს "ჭიორა ჰესი"	82,429	-
შპს "დილომი ჰესი"	72,583	-
შპს "აისი"	75,185	-
კარლსრუეს ტექნოლოგიური ინსტიტუტი	45,561	-
სს "სვანეთი ჰიდრო"	-	125,327
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	-	72,919
შპს "ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური"	-	58,731
შპს "ქლინ ენერჯი გრუპ ჯორჯია"	-	7,166
	1,818,272	1,271,477

შპს „შტუკი კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. ამონაგები (გაგრძელება)

ამონაგები შემოსავლის ტიპების მიხედვით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2020	2019
პროექტის ზედამხედველობა	1,117,938	673,566
პროექტის ტექნიკური შემოწმება	318,671	125,327
პროექტირება	213,412	64,557
კონსულტაცია	122,690	119,825
ტოპოგრაფიული-აგეგმვითი სამუშაოები	45,561	-
ენერგეტიკის სექტორის სტრატეგიული გარემოსდაცვითი და	-	72,919
სოციალური შეფასება	-	215,283
	1,818,272	1,271,477

11. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

გაწეული მომსახურების თვითღირებულება შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(678,923)	(674,896)
შესყიდული მომსახურება - ქვეკონტრაქტორების ხარჯი	(574,035)	(199,169)
მივლინების ხარჯი	(32,394)	(30,492)
სხვა	(31,806)	(28,274)
	(1,317,158)	(932,831)

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(313,320)	(277,349)
ცვეთა და ამორტიზაცია	(125,020)	(191,112)
იჯარის ხარჯი	(81,985)	-
დაზღვევის ხარჯი	(18,912)	(10,681)
საკონსულტაციო ხარჯი	(17,339)	(15,271)
საოფისე ხარჯი	(11,712)	(7,125)
კომპიუტერული მომსახურება	(8,798)	(9,100)
კომუნალური ხარჯი	(6,967)	(6,625)
ბიზნესის განვითარების ხარჯი	(4,544)	(3,426)
კომუნიკაციის ხარჯი	(2,560)	(3,044)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(1,743)	(1,387)
სხვა ხარჯები	(16,556)	(17,800)
	(609,456)	(542,920)

შპს „შტუკი კავკასია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოდგენს:

- ა) მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი
- გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი
- დ) მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

კავშირის ფორმა	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
	დაკავშირებული მუხლის ბალანსი	ფინანსური ანგარიშგების არე	დაკავშირებული მუხლის ბალანსი	ფინანსური ანგარიშგების არე
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				
- შპს შტუკი	დამფუძნებელი	612,144	896,308	157,647
		612,144		157,647
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები				
- შპს შტუკი	დამფუძნებელი	675,340	718,355	300,446
- უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო	ხელმძღვანელობა	-	284,767	425,282
		-	15,679	

ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასსა და სხვა ანაზღაურებას და შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო	2020	2018
- მოკლევადიანი სარგებელი	(281,459)	(259,697)

კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

კავშირის ფორმა	2020		2019	
	დაკავშირებული მუხლის ბალანსი	ფინანსური ანგარიშგების არე	დაკავშირებული მუხლის ბალანსი	ფინანსური ანგარიშგების არე
შემოსავალი				
- შპს შტუკი	დამფუძნებელი	407,642	1,818,272	186,227
		407,642		1,271,477
გაწეული მომსახურების თვითღირებულება				
- შპს შტუკი	დამფუძნებელი	(313,395)	(1,317,158)	(118,678)
	სხვა	(308,226)	(118,678)	(932,831)
- შპს შტუკი ბალკანეთი	დაკავშირებული მხარე	(5,169)	-	

14. პირობითი ვალდებულებები

ბონუსი - კომპანიის სახელფასო პოლიტიკის შესაბამისად, ერთ-ერთი ბონუსი დამოკიდებულია შტუკი ჯგუფის საერთო შედეგებზე. აღნიშნული შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიას არ აქვს არანაირი მოლოდინი ჯგუფის საბოლოო შედეგებზე და რადგან წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობა არ არის მიზანშეწონილი, ამიტომ აღნიშნული ბონუსები კლასიფიცირდება, როგორც პირობითი ვალდებულება. გარდა ამისა, ჯგუფის შედეგების საფუძველზე ბონუსის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შპს შტუკი, ამიტომ აღნიშნულზე ბონუსებზე ანარიცხი არ აღიარდება.

გადასახადები და დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები - 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, გადასახდელი მოგების გადასახადის ოდენობა არის 0, რადგან კომპანიას გადახდილი აქვს მოგების გადასახადი 2017 წლამდე.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

სასამართლო დავა - კომპანიის ჩვეული საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა. თუმცა, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის მიმართ არ ყოფილა არანაირი მატერიალური სასამართლო დავა.

საოპერაციო გარემო - განვითარებადი ბაზრები, როგორიცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელიც უნდა გაიშიფროს ფინანსურ ანგარიშგებაში.

16. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსით, ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა“.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	<i>საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი</i>		
	<i>აშშ დოლარი</i>	<i>ევრო</i>	<i>შვეიცარიული ფრანკი</i>
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233	3.7103
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095	2.9488

ფინანსური ინსტრუმენტები**ფინანსური აქტივები**

კომპანია აღრიცხავს თავის ფინანსურ აქტივებს ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ მიხედვით. ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და საკონტრაქტო აქტივებს, ასევე ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

16. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა და საკონტრაქტო აქტივი აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

16. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალება ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის თანხით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წრფივი მეთოდით კატეგორიების მიხედვით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ძირითადი საშუალებები	
საოფისე ტექნიკა	3-10
ტექნიკური და კომპიუტერული მოწყობილობები	5-10
სატრანსპორტო საშუალება	5
სხვა	3-10
არამატერიალური აქტივები	
პროგრამული უზრუნველყოფა	5
ბუღალტრული და სხვა პროგრამები	5-10

მიმდინარე ხარჯები გაწვევითანავე აღიარდება სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში თუ ისინი არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის მოთხოვნებს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალურ აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი ცვლილება. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებებს, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე,
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

16. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით. აქტივის ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმვალობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასის შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება მფლობელების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალად კომპანიის მთლიან კაპიტალში, იმდენად, რამდენადაც იგი შეესაბამება კომპანიის მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შემონატანების რეალური ღირებულებით.

16. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. შუალედური და საბოლოო დივიდენდების დამტკიცება ხდება, პარტნიორთა საერთო კრებაზე.

ამონაგები

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კლიენტებთან გაწეული მომსახურების ნაწილი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში. ეს გამომდინარეობს საკონსულტაციო/ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კონტრაქტებიდან, რომელსაც კომპანია აღიარებს პროექტის დასრულების ეტაპის მიხედვით, რომელიც განისაზღვრება ფაქტობრივი ხარჯებისა და პროექტებზე რეალურად დახარჯული დროის შედარებით ხარჯებისა და საათების ჯამურ რაოდენობასთან, რომლითაც მოსალოდნელი იყო პროექტის დასრულება (დანახარჯების მეთოდით).

რთული სამსჯელო არ არის კონტროლის გადაცემის მომენტის იდენტიფიცირება: მას შემდეგ რაც კლიენტი დაადასტურებს პროექტის ანგარიშს, კომპანიას აღარ აქვს მისი ფლობის უფლება, ჩვეულებრივ უზნდება გადახდის მიღების უფლება და არ ინარჩუნებს პროექტის ანგარიშის მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებას. შესაბამისად კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს კონკრეტულ მომსახურებაზე ანაწილებს.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარდება თუ არის ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აღნიშნული შემოსავლის თანხის განსაზღვრა საიმედოდ არის შესაძლებელი. შემოსავალი, მასთან დაკავშირებულ ხარჯებთან დანეტებულად, აღიარებული იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც განხორციელდა ოპერაცია.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

16. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან

კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „შტუკი კავკასიის“ ხელმძღვანელობასა და მფლობელს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „შტუკი კავკასიის“ თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საადრიცხო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და არსებობს თუ არა მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავრწმუნდით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებული ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე და თუ ასეთი განმარტებითი შენიშვნა არის შეუსაბამო, გავცეთ მოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

4 თებერვალი 2021

შპს „შტუკი კავკასია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	36,850	61,978
აქტივების გამოყენების უფლება	6	-	94,392
არამატერიალური აქტივები		5,536	7,674
		<u>42,386</u>	<u>164,044</u>
მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო აქტივი		8,429	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	896,308	344,518
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	146,342	567,098
		<u>1,051,079</u>	<u>911,616</u>
სულ აქტივები		<u>1,093,465</u>	<u>1,075,660</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდები კაპიტალი		100,000	100,000
გაუნაწილებელი მოგება		275,110	410,138
სულ კაპიტალი		<u>375,110</u>	<u>510,138</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	6	-	105,592
საგადასახადო ვალდებულება		-	34,648
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	718,355	425,282
		<u>718,355</u>	<u>565,522</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>1,093,465</u>	<u>1,075,660</u>

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 4 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი




ბ. ქუიგლი

ფინანსური და
ადმინისტრაციული
დირექტორი



თ. ანდლუაძე

ბუღალტერი



ა. მაჭარაძე

9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.